# გია სალუქვაძე: „ქალაქ ოზურგეთში მშენებლობები მართლაც ძალიან აქტიურად მიმდინარეობს“



ქალაქ ოზურგეთში მშენებლობები მართლაც ძალიან აქტიურად მიმდინარეობს. ამის შესახებ მხარის პირველმა პირმა გია სალუქვაძემ 20 მაისს, ქალაქის მერთან ბეგლარ სიორიძესთან ერთად, ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების დათვალიერებისას აღნიშნა. გუბერნატორმა ქალაქის მერს თანადგომა და თანამშრომლობის სურვილი კიდევ ერთხელ გამოუცხადა.

„ქალაქ ოზურგეთში მშენებლობები მართლაც ძალიან აქტიურად მიმდინარეობს. ყოველივე ეს მისასალმებელი და მისაბაძია. მზად ვართ გვერდით დავუდგეთ გურიაში ერთადერთი თვითმმართველი ქალაქის ხელმძღვანელობას და ვითანამშრომლოდ ეფექტიანად“,– აღნიშნა ახალმა გუბერნატორმა.

სანიაღვრე არხების მშენებლობა აღმაშენებლისა და გურიის ქუჩებზე, ჯებირები და ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარე ნაბჭუარაზე, 9 აპრილის ქუჩის განახლება და სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სპორტული კომპლექსის მშენებლობა რუსთაველის ქუჩაზე, ანასეულში და გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე კორპუსების სარეაბილიტაციო სამუშაოები - ეს იმ ინფრასტრუქტურულ პროექტთა არასრული ჩამონათვალია, რომელიც 20 მაისს გუბერნატორმა და ქალაქის მერმა ერთობლივად მოინახულეს.

ქალაქის მერის განცხადებით, გარდა მიმდინარე სამუშაოებისა, ოზურგეთში კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება იგეგმება.


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №21 (10111, 25 მაისი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.


## „ყველაზე მთავარი _სამართლიანობის აღდგენა არ უნდა დარჩეს კითხვის ნიშნის ქვეშ“

ზუსტად 4 წლის წინ, 2011 წლის 21 მაისს, „სახალხო კრებამ“ ქ. ბათუმში, ერას მოედანზე, მრავალათასიანი მიტინგი მოაწყო. ამ აქციაში ასეულობით ადამიანი მონაწილეობდა გურიის რეგიონიდან. აქციას ესწრებოდნენ გაზეთების „ალიონის“ და „გურია ნიუსის“ ჟურნალისტები. შემდეგ აქციის მონაწილეებმა აჭარის ტელევიზიისაკენ გადაინაცვლეს. მათი მოთხოვნა იყო, აჭარის ტელევიზიას სწორი ინფორმაცია მიწოდებინა ხალხისთვის.

23-ში ღამით, აქციის დარბევა დაიწყო. დაიჭირეს აქტივისტები ცოტნე ანანიძე, ანზორ სოლომონიძე, გოჩა მუხაშავრია, დავით ფარტენაძე, ხვიჩა გამარჯობიძე, დიმიტრი ჭეიშვილი და ოზურგეთელი ვახტანგ სიორიძე.

გაზეთი „ალიონი“ ყოფილ პოლიტპატიმრებს შარშან, ქ. ბათუმში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეხვდა და ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნა გაზეთ „ალიონში“( №5, 2014 წ.) გამოქვეყნდა ელექტრონული და ვიდეო ვერსია ვებ-გვერდზე: **alion.ge.**

ამონარიდი ინტერვიუდან: „თუ ჩვენ გვექნებოდა ოჯახის წევრების უსაფრთხოების გარანტია, ამ შემთხვევაში ჩვენ არ მივდიოდით აღიარებაზე, პრინციპულად ვიდექით ჩვენს პოზიციაზე. მაგრამ როცა უკვე ღამის პირველ საათზე უშიშროების განსაკუთრებულ საქმეთა გამოძიების ჯგუფი გაღვიძებს, აგიყვანს ციხის უფროსის კაბინეტში და ქსეროასლებს დაგილაგებს ოჯახის წევრებისას და თანამებრძოლებისას, გეტყვიან, რომ ჩვენ კარგად გიცნობთ თქვენ, ულტიმატუმი იყო, ან ბრალი უნდა გველიარებინა ან ოჯახის წევრების და თანაპარტიელების მიმართ უნდა დაეწყოთ ომი. თან დასძინეს, თქვენ ბრალი დაგიმძიმდებათ ახალ გარემოებათა გამო, იკვეთება, რომ თქვენ აპირებდით შეიარაღებულ გადატრიალებას და ბრალი გედებათ სამშობლოს ღა-


▶▶▶ გვ-3




## როდის მიეწოდება ქალაქს სასმელი წყალი რეაბილიტირებული წყალსადენიდან?

**„ალიონი“.** როდის დამთავრდება მშენებლობა და როდის მიეწოდება ქალაქ ოზურგეთს ხარისხიანი სასმელი წყალი რეაბილიტირებული წყალსადენიდან?

სათაურში გამოტანილი ამ კითხვის პასუხით და უფრო მეტად ხარისხიანი სასმელი წყლის მიღებით, რა თქმა უნდა, დაინტერესებულია ყველა ოზურგეთელი, რომელთა ერთი ნაწილი, — ალბათ, უფრო ემოციური, — გადათხრილმა ქუჩებმა და ტალახმა შეაწუხა, მეორე ნაწილი კი, — უფრო სულდათქმული და შორსმჭვრეტელი,— რეაბილიტირებ-ულ წყალსადენს ქალაქ ოზურგეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის „საუკუნის მშენებლობად“ მიიჩნევს და სამართლიანადაც, რადგან ქალაქში დღეს მოქმედი წყალსადენის ქსელი ჯერ კიდევ 1937 წელს არის აგებული და, მსუბუქად რომ ვთქვათ, ამორტიზებულია.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის გაერთიანებული სერვისცენტრის დირექტორის დავით ცერცვაძის თქმით, ქალაქ ოზურგეთში ახალი წყალსადენის მშენებლობაზე გამოცხადებული ტენდერი შპს „ინსიმ“ მოიგო და შარშან ნოემბერში მისი ქვეკონტრაქტორი, შპს „წყალკანალმშენი“ პრაქტიკულად შეუდგა მუშაობას:

*„ტენდერში გამარჯვებული გახლავთ შპს „ინსი“, ხოლო გასული წლის ნოემბრიდან სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს მისი ქვეკონტრაქტორი ფირმა შპს „წყალკანალმშენი“. პროექტის ღირებულება თავდაპირველად 3 მილიონ 880 ათასი ლარი იყო, შემდეგ ცოტათი შეიცვალა, რადგან წყალსადენის მილების პროექტით გათვალისწინებული სიგრძე 27 კილომეტრიდან 32 კილომეტრამდე გაიზარდა. აქედან 27 კილომეტრამდე უკვე მზადაა, ფაქტობრივად ყაზბეგის ქუჩაზე დარჩა შესაყვანი. გარდა ამისა, საკუთარი ძალებით ვახორციელებთ შესაბამის სამუშაოებს ინგოროყვას ქუჩის I ჩიხში, რუსთაველის ქუჩის III ჩიხში, იაკობ შემოქმედელის ქუჩის I და IV ჩიხებში ბათუმის ქუჩის მარცხენა მხარეს, ლერმონტოვის ქუჩის ნაწილზე (ნაწილი შედიოდა პროექტში). ეს ჯამში დაახლოებით 4-5 კილომეტრია. ასე რომ, შემდეგ დაიწყება გადასაყვანი, სარეგულაციო და სამონტაჟო სამუშაოები.*



*პროექტი წელიწადნახევრიანია, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, სამუშაოების დასრულებას იანვარში გეგმავენ და ამით დასრულდება ქალაქის ცენტრალური ნაწილის წყალსადენის რეაბილიტაცია. რეაბილიტირებული წყალსადენი კი შესაძლებლობას მოგვცემს, მომხმარებელს შეუფერხებლად, უწყვეტად, მაღალი წნევით, დღელამეში მინიმუმ 14 საათით მივაწოდოთ ხარისხიანი სასმელი წყალი. ქსელში მაღალი წნევის მუდმივად არსებობის შემთხვევაში კი, ჩვენთვის პრობლემა აღარ იქნება ქალაქის გარეუბნებისა და მაღალი წერტილების ათვისება.*

*რეაბილიტირებული ქსელის წლით უზრუნველყოფა მოხდება ყაზბეგის, კიტა მეგრელაძისა და სამთო ქიმიის ქუჩებზე მდებარე სათავე ნაგებობებიდან“*

ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე კმაყოფილია ქალაქში წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებით.

„ყოველდღიურად ვადევნებთ თვალყურს ამ მშენებლობას. ვინც საქმეში ჩახედულია, დამეთანხმება, რომ დიდი საქმე კეთდება და კარგად კეთდება. მშენებლები უკვე გრაფიკის წინსწრებით მუშაობენ. ამიტომ, თუ საახალწლოდ ვერა, ახალი წლის პირველივე თვეში ოზურგეთელები აუცილებლად მიიღებენ სასმელ წყალს ახალრეაბილიტირებული ქსელიდან.“

## გაზეთი „ალიონი" სარეკლამო მომსახურების ტარიფები

— მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

— მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა — 150-150 ლარი;

— 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

— ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

— შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

— პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

— მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

— სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

— გახსენება, ნეკროლოგი — სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

*ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით*

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით — 2 ლარი,**
**სამი თვით — 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით — 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*



## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში"
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



**დაინყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**


## დავასუფთაოთ საქართველო



სამხარეო ადმინისტრაციაში 22 მაისს პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში" პრეზენტაცია გაიმართა, რომლის მიზანი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში და ნარჩენების მართვის თანამედროვე მეთოდების გაცნობაა. პრეზენტაციას გურიის გუბერნატორი მოადგილეებთან ერთად და ოზურგეთის ორივე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

პროექტს ახორცილებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი: საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი", საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები -საქართველო" და მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოხედვა".

## ბაქრაძის ქუჩის მცხოვრებთა პრობლემა უახლოეს მომავალში გადაიჭრება



ბეგლარ სიორიძემ გასულ ხუთშაბათს მოქალაქეთა გეგმიური მიღება გამართა. მიღებაზე მოსულ მოქალაქეთა უმრავლესობა მერისაგან სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრას ითხოვდა.

მოქალაქეების მხრიდან მერთან დასმული საკითხების უმრავლესობა დაკმაყოფილებულ იქნა და მათი გადაჭრა შესაბამის სამსახურებს დაევალა.

მათგან ერთ-ერთი დიმიტრი ბაქრაძის ქუჩის მცხოვრებთა მოთხოვნა იყო. ადგილობრივები მდინარე ბჟუჟზე გაბიონების მოწყობას ითხოვენ. ბეგლარ სიორიძემ დღესვე მოინახულა მდინარის ის მონაკვეთი, რომელიც მოსახლეობის კუთვნილ ფართობებს საფრთხეს უქმნის. ქალაქის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის ინფორმაციით, საკითხი მთავრობის სხდომაზე განიხილეს და სამუშაოები ოცი დღის ვადაში დაიწყება.

## გია სალუქვაძე: „კოლოსალური შრომა არის გაწეული".



„კოლოსალური შრომა არის გაწეული. გასული წლის სექტემბერში მომხდარი სტიქიური მოვლენების შემდეგ სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები ბრწყინვალედ არის შესრულებული. მსგავსი რამ აქ არასდროს გაკეთებულა. ვნახე რა სახის პროექტები განხორციელდა სტიქიის ზონებში. მთავარია, მიმდინარე სამუშაოები გეგმიურად შესრულდეს და მოსახლეობა იყოს დაცული" - ასეთი შეფასება გააკეთა დღეს სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში-გუბერნატორმა **გია სალუქვაძემ.**

მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დღეს გუბერნატორმა მუნიციპალიტეტის გამგებელთან მერაბ ჭანუყვაძესთან და მის მოადგილეებთან ერთად დაათვალიერა. მოინახულა სოფელ შემოქმედში მიმდინარე ნაპირსამაგრი, დამცავი კედლის მშენებლობა და ცხემლისხიდის თემში მდინარე ნატანების გასწორხაზოვნების სამუშაოები.

„დღეს გურიის გუბერნატორთან ერთად მოვინახულეთ ინფრასტუქტურული სამუშაოების მეორე ეტაპი. ვფიქრობ, წლის ბოლომდე კიდევ ბევრ მნიშვნელოვან პროექტს განვახორციელებთ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას შესრულებული სამუშაოების 90 პროცენტიანი ათვისება აქვს" - აღნიშნა **მერაბ ჭანუყვაძემ.**

## დავით მჟავანაძის განცხადება

გასულ პარასკევს „ნაციონალური მოძრაობის" ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით მჟავანაძემ ჟურნალისტებთან ბრიფინგზე განაცხადა:

—მინდა გამოვეხმაურო ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე დღეს მომხდარ ინციდენტს.სამწუხარო ფაქტია ის, რომ პოლიციელზე მოძალადე პირის გუბერნატორად დანიშვნით წახალისებული საკრებულოს წევრები ძალის დემონსტრირებით ცდილობენ ებრძოლონ განსხვავებული აზრის მქონე პირებს. ისინი ამ ფორმით ცდილობენ ეკეკლუცონ და თავი მოაწონონ მხარის ახალ გუბერნატორს. ამის ნათელი მაგალითი იყო დღევანდელი საკრებულოს სხდომა როდესაც ჩემს მიერ გურიის გუბერნატორთან კითხვის დასმამ გამოიწვია საკრებულოს წევრის არაეთიკური ქმედება და



ისინი არც მუქარას ერიდებოდნენ მივმართავ საკრებულოს თავმჯდომარეს მოახდინოს რეაგირება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით,

რათა მომავალში სრულად და დაუბრკოლებლად უზრუნველყოფილი იყოს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელება და სიტყვის გამოხატვის თავისუფლება.

## „თავისუფალი ზონის" ოზურგეთის ხელმძღვანელის ბრიფინგი

„თავისუფალი ზონის" ოზურგეთის ხელმძღვანელმა ბესო ქათამაძემ ჟურნალისტებთან ბრიფინგი გამართა, სადაც მან განაცხადა:

— სიცრუეა, რომ თითქოს „თავისუფალი ზონის" მიერ იქნა ორგანიზებული არასრულწლოვნების ჩვენებაზე მიყვანა და ემსახურება საზოგადოების სიცრუეში შეყვანას, რასაც ადასტურებს განათლების სამინისტროს დასკვნა. გურიის გუბერნატორის ფილმი რუსეთის გმირის ლადო ბედუკაძის დადგმულ კადრებზეა. რის გამოც 2012 წლის არჩევნების შემდეგ რუსეთში დააჯილდოვეს. აღნიშნული ფილმის არასრულწლოვნებისათვის ჩვენება დაუფასდა სალუქვაძეს და რეგიონის ხედვების და გეგ-



მის გარეშე ივანიშვილის მიერ დაინიშნა გურიის გუბერნატორად. მინდა მივმართო გუბერნატორს მოეშვას სიცრუის ტირაჟირებას და დაკავდეს რეგიონში არსებულ პრობლემების მოგვარებით.

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გუბერნატორთან ერთად ჯუმათში მდინარე სუფსის გასწორხაზოვნების სამუშაოები მოინახულა

„მდინარე სუფსა ადიდებისას საფრთხეს უქმნიდა საავტომობილო გზას და აზიანებდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. აქ გრანდიოზული სამუშაოები ხორციელდება. პროექტის ღირებულება 60 ათას ლარს შეადგენს" - აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

სახელმწიფო რწმუნებულმა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა სოფელ კონჭკათშიც, სადაც რკინა-ბეტონის გზის დამცავი კედლების მშენებლობა მიმდინარეობს. მერია-კონჭკათის 4 კილომეტრიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 2014 წლის 20 მაისს დაიწყო და თვის ბოლომდე დასრულდება.

## მოცვი – ფინანსურად მომგებიანი კულტურა

გასული კვირის ოთხშაბათს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ადგილობრივი ფერმერებისთვის საერთაშორისო ტრენერმა რიჩარდ დეილმა სემინარი ჩაატარა. სემინარზე ბოლო დროს გურიაში გააქტიურებულ კულტურაზე – მოცვზე ისაუბრეს. დეილის თქმით, მოცვის მოსაყვანად საქართველოში კარგი ბუნებრივი პირობებია და მცირემიწიანი ფერმერისთვის, სხვა კულტურებთან შედარებით, ფინანსურად მომგებიანი იქნება აღნიშნული კენკროვანის მოშენება.

ტრენინგი საქართველოს სასოფლო—სამეუნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის ფარგლებში ჩატარდა. აღნიშნულ პროექტს აშშ–ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო ახორციელებს. პროექტის მიზანია სოფლად შემოსავლების ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა, აგრობიზნესში ინვესტიციების მოზიდვა, ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა. კერძოდ, გათვალისწინებულია მექანიზაციისა და ფერმერთა მომსახურების ცენტრების, სასაწყობე მეურნეობების, დამახარისხებელი, მცირე და საშუალო ზომის გადამამუშავებელი საწარმოების დახმარება.

# ირაკლი ღარიბაშვილი გურიას სტუმრობდა



**ალიონი** პროექტის „ძლიერი რეგიონი-ძლიერი საქართველო" ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 16 მაისს, გურიას სტუმრობდა. მან გურიის ახალ გუბერნატორ გია სალუქვაძესთან ერთად ახალი საწარმოები დაათვალიერა.

დაბა ჩოხატაურში პრემიერმა ხილის გადამამუშავებელი მშენებარე საწარმო დაათვალიერა. ამ პროექტს 400 000 დოლარის სახელმწიფო თანადაფინანსებით და 500 000 აშშ დოლარის ოდენობის აგროკრედიტით შპს „კახური ტრადიციული მეურნეობა" ახორციელებს. საწარმო ექსპლუატაციაში ივნისის ბოლოს შევა და სხვადასხვა ჯემებს, მურაბებს და ტყემალს აწარმოებს.

როგორც ბიზნესმენმა ზურაბ ჩხაიძემ თქვა, ქარხანა თურქული წარმოების მანქანა-დანადგარებით აღიჭურვება და ძირითადად ექსპორტზე იმუშავებს.

ჩოხატაურიდან პრემიერ მინისტრი ქ. ოზურგეთში (ანასეული) გაემგზავრა. აქ მაისის ბოლოს ხილის გადამამუშავებელი ახალი საწარმო გაიხსნება. აქ განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა 971 961 აშშ დოლარია, საიდანაც 388 784 აშშ დოლარი სახელმწიფო თანადაფინანსებაა, ხოლო 485 982 აშშ დოლარი შეღავათაიანი აგროკრედიტია.

საწარმო წელს 1000 ტონამდე ხილის გადამუშავებას გეგმავს, ხოლო მომდევნო წლებში გადასამუშავებელი ნედლეულის მოცულობა 3000 ტონას მიაღწევს.

ხილის გადამამუშავებელი ახალი საწარმო შპს „ანასეულის ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკას" ეკუთვნის. საწარმო სეზონზე 200 ტონამდე დაუფასოებელ ჩაის აწარმოებს.

ხილის საწამოს პერსპექტივებზე ირაკლი ღარიბაშვილს ამ საწარმოს ხელმძღვანელი გია ხუჭუა ესაუბრა.

პრემიერ მინისტრმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. გურანთაში ჩაის გადამამუშავებელი საწარმო „ნატურა თი კომპანია" დაათვალიერა.

ეს საწარმო რამდენიმე დღის წინ შევიდა ექსპლოატაციაში. კომპანიის მფლობელმა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის აგროლიზინგის კომპონენტით 59 778 აშშ დოლარის სესხი აიღო, რომლითაც ჩაის გადამამუშავებელი დანადგარები შეიძინა. სესხის 12 პროცენტს სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტო იხდის, ხოლო 3 პროცენტს მეწარმე.

საწარმო წელს 100 ტონა მაღალი ხარისხის ნედლეულს გადაამუშავებს, რომლისგანაც 25 ტონა პროდუქცია მიიღება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საწარმოს დათვალიერების შემდეგ განაცხადა, რომ ჩაის დარგის აღდგენა მნიშვნელოვანია, რადგან ერთ ჰექტარ ფართობზე ყველა კულტურაზე მეტ მოსავალს იძლევა და იგი ჰექტარზე 8-10 ტონას შეადგენს.

–„მე დღეს გურიას ვეწვიე ახალი პროგრამის – „ძლიერი რეგიონი ძლიერი საქართველოსთვის" პროექტის ფარგლებში. ჩვენი მთავარი დევიზი არის - მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ ადგილობრივი წარმოების განვითარებას. ახალი საწარმოების მშენებლობა, რომელიც ჩვენ დღეს ვნახეთ, არის ძალიან მნიშვნელოვანი ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მოსახლეობას წლების მანძილზე არ შეეძლო ნედლეულის რეალიზაცია, არ ჰქონდა ჩაბარების ადგილები და ხილი ულპებოდა. ეს საწარმოები, რომლებიც სახელმწიფოს თანადაფინანსებითაა შექმნილი, არის მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ადგილობრივ მოსახლეობას სამუშაო ადგილებს გაუჩენს. აქ შექმნილი პროდუქცია მოხმარდება არა მარტო ადგილობრივ ბაზარს, არამედ გავა საზღვარგარეთ. ჩვენ ხელს ვუწყობთ ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებას და მინდა გითხრათ, რომ გურიას აქვს უნიკალური რესურსი განვითარებისათვის".



ოზურგეთში პრემიერი მუნიციპალიტეტის გამგებლებს შეხვდა, ხოლო კოლეჯ „ჰორიზონტში" ბიზნესმენებს.

ამ შეხვედრების შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილმა მედიასთან ისაუბრა გურიის რეგიონის პერსპექტივებზე, ახალ საწარმოებზე, ჩაის დარგის აღდგენაზე და ტურისტული პოტენციალის ათვისებაზე.

მისივე თქმით შავიზღვისპირეთში მდებარე კურორტები – ურეკი, შეკვეთილი და გრიგოლეთი, ხოლო მაღალმთიან ალპურ ზონაში – ბახმარო და გომისმთა მართლაც უნიკალური რესურსია და აქ შესაძლებელია როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის ტურიზმის განვითარება.

პრემიერმა მაღალმთიან კურორტ გომისმთის პერსპექტივებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მათი მიზანია ინვესტორების დაინტერესება და მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვა გომისმთის ზამთრის კურორტად ჩამოყალიბების მიზნით. ტურიზმის კუთხით გურიის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება კი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გურიისთვის, არამედ მთლიანად, ჩვენი ქვეყნისათვის. ზოგადად, ამ რეგიონის შავ ზღვასთან სიახლოვე ქმნის ძალიან კარგ საფუძველს მისი სატრანსპორტო-ლოჯისტიკური განვითარებისთვის.

# „ ყველაზე მთავარი –სამართლიანობის აღდგენა არ უნდა დარჩეს კითხვის ნიშნის ქვეშ".

ლატში.."(ანზორ სოლომონიძე);

„სამოქალაქო საზოგადოების უფლებადამცველი ორგანიზაციების იურისტების მხრიდან ჩვენი საქმის ანალიზის შედეგად პრაქტიკულად დადგინდა, დრომ საქმე იყო ჩვენს მიმართ პოლიტიკური მოტივაციით დაკავება და სისხლის სამართლის პასუხისგებაში განზრახ მიცემა.

სწორედ ეს ანალიზი დაედო საფუძვლად 2012 წლის 5 ნოემბრის დადგენილებას, რითაც პოლიტპატიმრის სტატუსი განისაზღვრა. ამ სტატუსით მოხდა საპყრობილედან გათავისუფლება. თუმცა ამ საქმეს დღეს-დღეისობით სამართლებრივი მსვლელობა არ მიეცა და ამასთან დაკავშირებით წუხილის გამოვთქვამთ. იმედი გვაქვს, ჩვენ არ მოგვიხდება სამართლიანობის აღდგენა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თავის უპირველეს ვალდებულებას, მოახდენს უფლებამოსილების დარღვევის შესახებ შესატყვის სამართლებრივ რეაქციას. ამის მოლოდინში ვართ, თუმცა, სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლებისათვის ყოფილი პოლიტპატიმრები მძიმე ტვირთად იქცა." (ცოტნე ანანიძე).

პოლიტპატიმრები და ჟურნალისტები მაშინ ფიქრობდნენ, რომ კვლავ დგას კითხვა-ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის შესახებ, თუმცა, სამწუხაროდ ეს კითხვა დღესაც აწუხებს საზოგადოებას.

21 მაისს, ქ. ბათუმში კვლავ შეიკრიბნენ პოლიტპატიმრები და იგივე მოთხოვნები გააჟღერეს ( აჭარის ტელევიზიამ საინფორმაციო გამოშვებაში დღის განმავლობაში სამჯერ გადასცა ეს სიუჟეტი).

ანზორ სოლომონიძის მოთხოვნაა, რომ ყოფილი კრიმინალური ხელისუფლების მიერ დაგეშილი პროკურატურისა და პოლიციის ის ჩინოსნები, რომლებიც ახორციელებდნენ მათ სამართლებრივ დევნას, დღესაც წარმოდგენილი არიან, როგორც სამართალდამცავები, გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან;

ცოტნე ანანიძემ განაცხადა, რომ 2011 წლის 21 მაისის სამოქალაქო პროტესტი ჯდებოდა საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში. ამიტომ უნდა მოხდეს კონკრეტული სამართლებრივი შეფასებები.

ერთ-ერთი მოთხოვნა დღევანდელ ხელისუფლებაში ნაციონალების მაღალ თანამდებობებზე ჩამოშორებასაც შეეხებოდა.

ოზურგეთელმა ვახტანგ სიორიძემ იმ პროკურორისა და ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლების თანამდებობიდან გადაყენება მოითხოვა, რომელთა მიერ ხდებოდა მასზე ზეწოლა და წამების ფაქტები.

ანზორ სოლომონიძემ გაზეთ „ალიონთან" განაცხადა, რომ იგი დღეს თავისი საქმიანობით ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობას უჭერს მხარს და ამბობს, რომ ყველაზე მთავარი –სამართლიანობის აღდგენა არ უნდა დარჩეს კითხვის ნიშნის ქვეშ.


# ვაზის გაშენების მსურველთა საყურადღებოდ!

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა" ვაზის გაშენებით დაინტერესებულ პირებს მიმდინარე წლის ივნისში უფასოდ მიაწვდის ჩხავერის სტანდარტულ ნამყენ, ე. წ. „კოშტებში" დაფესვიანებულ მწვანე ნერგებს და გაუწევს სათანადო კონსულტაციებს.

ცნობებისათვის მიმართეთ ანდრო ვაშალომიძეს.

ოზურგეთი, სოფ. შემოქმედი.

ტელ. 598 10 86 74.

დ


# ბონდო ღლონტი: „რომ ჩეირთვები პატეფონივით, სხვისი მოსმენა რეიზა არ იცი?!"

მარი კოძოევი



გასული კვირის პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თემთა საკრებულო შეიკრიბა. სხომამ ცვლილებები და დამატებები შეიტანა "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის №86 განკარგულებაში; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუსავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით, უფლებამოსილების ვადა გაუგრძელა დროებით სამუსაო ჯგუფს; ცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული (ზაზა გობრონიძის) წევრის ადგილმონაცვლის (ბიძინა ლომჯარია) უფლებამოსილება.

სხდომას მხარის ახალი გუბერნატორი გია სალუქვაძე დაესწრო.

ნაციონალმა დეპუტატმა დავით მჟავანაძემ შემთხვევით ისარგებლა და გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ შეეხსენებინა საზოგადოებისთვის სალუქვაძის კავშირი ფილმის ჩვენებასთან, რომელსაც მოსწავლეები ესწრებოდნენ და რომელიც ნაციონალური რეჟიმის შესახებ ყვება.

**გია სალუქვაძე:** ფილმი ეხება რეალობას. მიპასუხეთ არის თუ არა ეს ფაქტები მომხდარი? თქვენ ამაზე არ საუბრობთ.ამ ფილმს აქვს იმის უფლება, რომ საზოგადოებამ ნახოს.

**დავით მჟავანაძე:** ამ ფილმს სკოლის მოსწავლეები რატომ ესწრებოდნენ?

**ლელა ნაცვალაძე** (დეპუტატი): ნუ უსმენთ ამ საცოდავ მჟავანაძეს.

**გია სალუქვაძე:** ჩვენ მიერ არ ხდებოდა კონტროლი, ვინ დაესწრებოდა და ვინ არა. არსად ჩემი არასამთავრობო არ ფიგურირებს, როგორც ბავშვების მომყვანი.

**ლელა ნაცვალაძე:** მჟავანაძე, საწყალი ხარ მეცოდები,შენთან არც კი შემოვალ პოლემიკაში. მე ვარ შენი პარტიის საქმეების მომსწრე 7 ნოემბრის 26 მაისისა. რატომ არის საწყენი როცა ვამბობ, რომ ფსიქიატრი გჭირდება?

**დავით მჟავანაძე:** კაი, ლელა, შენ პარტიიდან პარტიაში დარბოდი.

**ლელა ნაცვალაძე:** ჯობია პარტიიდან პარტიაში იხტუნაო, ვიდრე ის აკეთო, რასაც შენ აკეთებ. გაჭირვებულო, გაულახავი არ დარჩები.

**ბონდო ღლონტი** (დეპუტატი) :დათო, რომ ჩეირთვები პატეფონივით, სხვისი მოსმენა რეიზა არ გიყვარს. კითხვას რომ სვამ, პასუხს რეიზა არ უსმენ, შენდა რომ ბუტბუტობ?!..

# უცხოელების თვალით დანახული ქართული რეალობა




**ალიონი.** ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში სამოქალაქო კვირეულის ფარგლებში გაიმართა გურიაში მცხოვრები უცხოელი მოხალისეების პრეზენტაცია - ,,სამოქალაქო საზოგადოება მათ ქვეყნებში და მათი თვალით დანახული ქართული რეალობა“.

კვირეული სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდას) მიერ იყო ორგანიზებული და მას თამარ ღლონტი და ლევან ხინთიბიძე უძღვებოდნენ.

ჩართულობის ცენტრში შეკრებილი არასამთავრობო სექტორის, მედიის, სკოლების წარმომადგენლები ინტერესით უსმენდნენ ამერიკელი მოხალისის (აშშ, ატლანტა) ჯეშიკა ქრეივენის გამოსვლას. მან ამერიკული არასამთავრაოების გამოცდილება გაუზიარა მსმენელთ, სადაც საქველმოქმედო არასამთავროებებში სათემო შემოწირულობებს, მოხალისეობას დიდი ადგილი უჭირავს.

— 8 წელი კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ასოციაციში ვმუშაობდი. არასამთავრობის შემოსავლები ძირითადად სათემო შემოწირულობები იყო. ორგანიზაციის მუშაობის დიდი წილი მოხალისეებზე იყო დამოკიდებული. შემდეგ არასამთავრობოში ,,უფროსი და ძმები“ ვმუშაობდი,რომელთა პარტნიორობის თემა მარგინალური ოჯახები იყო. ვმუშაობდით თემებზე, სადაც დანაშაულის რისკ-ფაქტორზე განიხილავდნენ. აშშ- სი არასამთავროებზე გამოყოფილი თანხები იხარჯება იმ საკითხებზე, რასაც უშუალო პროექტი ითვალისწინებს. პროექტის მხოლოდ მცირე ნაწილია გათვალისწინებული მისი უშუალო ხელმძღვანელების ხელფასის დასაფინანსებლად, რადგან ძირითად სამუშაოებს მოხალისეები ასრულებენ -აღნიშნა ჯესიკამ.

მოხალისეების ინსტიტუტზე ისაუბრეს სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს მოხალისეებმა, პოლონელებმა მაჩექ ქალვამ, ტომაშ გაიმ და ლატვიელებმა ქრისტინა შულბერგამ და ქრისტოფს ბოგდანოვიჩმა. მათი გამოსვლა კონკრეტულ სტატისტიკური მონაცემებით იყო გაჯერებული . აღნიშნეს, რომ მათი დაფინანსების ძირითადი წყარო შემოწირულობები და ადგილობრივი თვითმმართველობის გრანტები გახლდათ.

,,ჩვენ ვუფრთხილდებით მეგობრებს, რომ დავამარცხოთ მტრები“- აღნიშნეს მოხალისეებმა.

# გენდერული საკონსულტაციო საბჭოსა და გუბერნიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოსა და გუბერნიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ერთიანი თანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი ქალაქ ოზურგეთის მერიის, საკრებულოს, ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის გამგეობასა და გენდერული საკონსულტაცის საბჭოს მხრიდანაც.

გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ გენდერის მნიშვნელობასა და ამ კუთხით აქტიურ მუშაობაზე გაამახვილა ყურადღება.—

— მე ვთვლი,რომ აუცილებელია კიდევ უფრო გაიზარდოს ქალთა წარმომადგენლება მმართველობის სფეროში, რადგან მათი რესურსები და პოტენციალი სწორი მიმართულებით იქნას გამოყენებული - განაცხადა გურიის გუბერნატორმა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს ასეთი აქტიური და საჭირო საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა:,, მწირი ბიუჯეტის პირობებშიც კი შევძელით გენდერული საკონსულტაციო საბჭოსთვის რამდენიმე პროექტის დაფინანსება. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისთვის გენდერული საკითხები ერთ-ერთი პრიორიტეტულია..“

ქ. ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ მზადყოფნა გამოთქვა გაერთიანებულ გენდერულ საბჭოსთან თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

—,,ეს არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ჩვენი საბჭოს მხრიდან. ამ გაერთიანების, ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის გაფორმებით ვთვლით, რომ ერთიანი ძალით შევძლებთ ბევრი კარგი საქმის გაკეთებას უკვე მთელი რეგიონის მასშტაბით“ - დასძინა საკრებულოს წევრმა და გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელმა ლელა ნაცვალაძემ.

# საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე გადადის

**ჩვენს უმრავლესობას სატელევიზიო რეკლამებიდან სმენია, რომ 17 ივნისს საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე გადავა და ანალოგური მიწისზედა სატელევიზიო სიგნალი ქვეყანაში სრულად გაითიშება. სანაცვლოდ, საქართველოს მოსახლეობა მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობას ციფრული ხარისხით უყურებს. ეს სასიამოვნო ცვლილებაა როგორც მოსახლეობისთვის, ისე ქვეყნისთვის. თუმცა საზოგადოების ნაწილი მაინც შეწუხებულია მოსალოდნელი ცვლილებით. მათ არ იციან, როგორ შეძლებენ ციფრული სატელევიზიო სიგნალის მიღებას ან რა დასჭირდებათ ამისთვის. ამ საკითხზე მკითხველისგან საკმაოდ ბევრი კითხვა მივიღეთ და გვინდა, რომ მათგან ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებს ვუპასუხოთ:**



**რას ნიშნავს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა და როდის მოხდება ეს?**

გადასვლა მიწისზედა სატელევიზიო სისტემის ციფრულ ფორმატში კონვერტაციას გულისხმობს. საქართველოს ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ცნობით, 2015 წლის 17 ივნისი არის ბოლო ვადა, როდესაც ქვეყანაში ანალოგური მიწისზედა სიგნალის გაციფრულება უნდა მოხდეს.

**საიდან მოდის ციფრული სიგნალი და რა შეიცვლება ჩემთვის 17 ივნისის შემდეგ?**

ციფრული ტელევიზია გადაცემის ერთ პლათფორმაზე არ არის მიბმული. ციფრული სიგნალის მიღება შესაძლებელია ციფრული მიწისზედა ანტენით, ციფრული კაბელით, ინტერნეტით ან სატელიტით. უკანასკნელი ორი – IPTV და სატელიტი უკვე ციფრულია. ეს ნიშნავს, რომ თუ თქვენ ამჟამად ტელევიზორს ინტერნეტის ან სატელიტის მეშვეობით უყურებთ, გადასვლის პროცესი თქვენზე გავლენას არ მოახდენს. ხოლო თუ თქვენ ტელევიზორს ანალოგური მიწისზედა ქსელის მეშვეობით უყურებთ, მოგიწევთ არჩევანი გააკეთოთ, თუ რა გზით გააგრძელებთ სატელევიზიო სიგნალის მიღებას.

**როგორ შემიძლია ციფრული სატელევიზიო სიგნალის მიღება?**

ციფრული სატელევიზიო სიგნალის მიღების სამი ძირითადი გზა არსებობს:

- შეიძინოთ ციფრული სეთ–თოფ–ბოქსი, რომ ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობას უყუროთ, მიიღოთ ციფრული სიგნალი ინტერნეტის ან სატელიტის მეშვეობით. სატელიტის შემთხვევაში თეფშის შეძენა დაგჭირდებათ, ინტერნეტის კი – თავად ინტერნეტ კავშირი.
- შეიძინოთ ახალი ტელევიზორი, რომელშიც ციფრული სიგნალის მიმღებია ჩაშენებული მიწისზედა ან სატელიტური მიღებისთვის.
- ისარგებლოთ საკაბელო სერვისით და დაელოდოთ, როდის მოგაწვდით პროვაიდერი ციფრულ სიგნალს.

**რომელ სატელევიზიო არხებს მივიღებ?**

ეს დამოკიდებულია კონკრეტულ პროვაიდერზე: თუ თქვენ ციფრულ მიწისზედა ქსელს აირჩევთ, მიიღებთ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ და მეორე არხებს, ასევე აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს. სხვა არხების მიღების შესაძლებლობა ადგილობრივ ციფრულ მიწისზედა სიგნალის პროვაიდერთან უნდა გადაამოწმოთ. თუ თქვენ სატელიტურ ან საკაბელო პროვაიდერს აირჩევთ, პაკეტების და არხების დიდი არჩევანი გექნებათ. მაგალითად, საქართველოს პირველი სატელიტური პროვაიდერი ,,მაგთისატი“ 100–ზე მეტ არხს გთავაზობთ.

**აუცილებელია, რომ 17 ივნისს დაველოდო და ამ დროს შევწყვიტო ძველი ანალოგური ანტენის გამოყენება და ციფრული სიგნალი მივიღო?**

რა თქმა უნდა, არა. თქვენ შეგიძლიათ ციფრული სიგნალი დღესვე მიიღოთ. ამის უმარტივესი გზა არის, რომ დაუკავშირდეთ ,,მაგთიკომს“ და ,,მაგთისატის“ ინსტალატორები გამოიძახოთ. ისინი გამოძახებიდან 7 დღის პერიოდში მოვლენ და ციფრული ტელევიზიის აქტივაციისთვის საჭირო ყველა სამუშაოს შეასრულებენ. თქვენ კი შეგიძლიათ სხვადასახვა პაკეტები და არხები აირჩიოთ ოჯახის გემოვნებისა და საჭიროებების მიხედვით.

# თავისუფალი დემოკრატების განცხადება




ხელისუფლება განაგრძობს თავისუფალი დემოკრატების პოლიტიკური ნიშნით დევნას.

გუშინ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, პარტია ,,თავისუფალი დემოკრატების წევრი, ვახტანგ ზენაიშვილი უსამართლოდ იქნა განთავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან.

ეს არის განთავისუფლების შესახებ ბრძანება, რომელშიც განთავისუფლების მიზეზს ვერც ერთი თქვენთაგანი ვერ ამოიკითხავს. როგორც ჩანს გურიის ახალმა გუბერნატორმა გია სალუქვაძემ, რეგიონის განვითარება პოლიტიკური "დასუფთავებით" დაიწყო და ლანჩხუთის რაიონში მეტი პრობლემა ვერ აღმოაჩინა. კოალიციის დატოვების შემდეგ ეს არ არის პირველი შემთხვევა.

სამწუხაროდ, ,,თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენლების დევნამ და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციამ კამპანიური ხასიათი მიიღო. ამას რეგიონებში ჩვენი საქმიანობის გააქტიურებასაც ვუკავშირებთ.

ცოტა ხნის წინ ახალციხის სასამართლომ უკანონოდ განთავისუფლებული ,,თავისუფალი დემოკრატი შალვა გოგოლაძე, უკვე აღადგინა საკრებულოს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარედ.

გუშინ ბათუმში გაიმართა ხელვაჩაურის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის, ,,თავისუფალი დემოკრატის“ ასლან კახიძის სასამართლო. რომელიც ასევე, პოლიტიკური ნიშნით იქნა განთავისუფლებული.

ჩვენ, ,,თავისუფალი დემოკრატები, ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, რომ დავუპირისპირდებით უსამართლობას და ყველა საქმეს მივიყვანთ ბოლომდე!!!

ლანჩხუთის მოსახლეობას კი ვპირდებით, რომ ვახტანგ ზენაიშვილი მალე დაუბრუნდება თავის საქმიანობას.

# განცხადებები

**იყიდება ყველაზე კეთილმოწყობილი სახლი ოზურგეთში. ტელ. 593 956183.**

**იყიდება 65 კვ.მ ფართი ოზურგეთში. ტელ. 593 956183.**

**იყიდება გადასატანად წაბლის ოთხოთახიანი სახლი და თელავის მარმარილოს თეთრი ,,კროშკა“. ტელ. 568 400 366.**

**იყიდება 3-ოთახიანი ბინა გაგარინის ქუჩაზე, ავტოფარეხისა და საბოსტნე მიწის ფართებით, ხუთსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე. გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად. ტელ. 574 099 219.**

*იუბილე*

# დავით გოგუაძე – 100



მარცხნიდან მარჯვნივ – სიმონ შეწირული, დავით გოგუაძე, ჯულიეტა ვაშაყმაძე, არსენ კეჭაყმაძე და თამაზ სალუქვაძე. 1967 წ.

თუ ცხოვრობ და ილვწი, ისე უნდა იცხოვრო და ილვაწო, როგორც დავით გოგუაძემ – ერთი უბრალო, გამრჯე ძიმითელი კაცის შვილმა, რომელმაც თავისი უნარითა და მონდომებით გაიკვალა დიდი სავალი, პირნათლად, კაცურად, სამაგალითოდ განვლო მთელი თავისი 88–წლიანი ცხოვრება.

თავისი ოჯახისთვის, ნათესავებისთვის, მეგობრებისთვის, ახლობლებისთვის, ყველა იმ ოზურგეთელისთვის, ვინც დავით გოგუაძეს იცნობდა, დღეს ღირსსახსოვარი თარიღია – დღეს დავით გოგუაძე 100 წლისა გახდებოდა!

დავით გოგუაძემ დაწყებითი სკოლა მშობლიურ ძიმითში დაამთავრა, ხოლო საშუალო სკოლა – ქ. ბათუმში. 1931 წლიდან ფიზიკურად მუშაობდა ძიმითის კოლმეურნეობაში, ორგანიზატორული ნიჭის მქონე, ინიციატივიანი ჭაბუკი აირჩიეს სათემო კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად, შემდეგ გადაიყვანეს კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორად,, მომდევნო წელს კი – მაღალი ეწერის ჩაის ფაბრიკის კომკავშირელთა ხელმძღვანელად და საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარედ.

1937 წლის მაისში ის მოხალისედ წავიდა საბჭოთა არმიაში, სადაც კომპარტიის რიგებშიც შევიდა. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა მახარაძის პარტრაიკომის სამხედრო განყოფილების ინსტრუქტორად, მომდევნო წლებში – ძიმითის, ბახვის საშუალო სკოლებში სამხედრო საქმის მასწავლებლად.

1944 წელს, პარტრაიკომის რეკომენდაციით, დავით გოგუაძე აირჩიეს მზიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მას შემდეგ იგი უცვლელად ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოებზე იყო. 1951 წლიდან ძიმითის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე გახდა, იმავდროულად – პარტიული ორგანიზაციის მდივანი. 1962 წლიდან სათავეში ედგა განახლების (ბაილეთის) კოლმეურნეობას, 1967 წლიდან – ნაგომრის კოლმეურმეობას. 1970–1986 წლებში დაუბრუნდა მშობლიურ ძიმითს, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა სოფლად სამოქალაქო შტაბის უფროსად, სახანძრო დაცვის უფროსად, არჩეული იყო ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარედ.

სამოციან წლებში ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოებზე ნაყოფიერი მოღვაწეობის პარალელურად, ბატონმა დავითმა დაამთავრა სასოფლო–სამეურნეო მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების შემსწავლელი სახალხო უნივერსიტეტი (აგრონომიული ფაკულტეტი).

ქვეყანამ ხალხმა, ხელისუფლებამ დააფასა დავით გოგუაძის ღვაწლი, იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, 9 მედლით, მრავალი საპატიო სიგელითა და სხვა ჯილდოებით, მაგრამ ყველაზე ძვირფასი ჯილდო მისთვის იმ ხალხის სიყვარული და პატივისცემა იყო, ვისთანაც ურთიერთობდა, ვისთანაც ირჯებოდა და ვისთვისაც ბოლომდე იხარჯებოდა.

მისი ერთ–ერთი მეგობარი, ასევე გამორჩეული სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკი ბაილეთელი ამირან მამულაიშვილი იხსენებს:

"ბაილეთში ჩემი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მუშაობის მანძილზე შეიცვალა რამდენიმე თავმჯდომარე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობისთვის. მათგან გამორჩეული იყო დავით გოგუაძე. აქ მან შვიდი წელი დაჰყო, მაგრამ მიუხედავად ამ მცირე დროისა, ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა, რომელიც დღესაც ატყვია სოფელს.

ბატონი დავითი მეტად მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ, ამავე დროს, საოცრად თბილი, მეგობრული და ყურადღებიანი იყო. არ ყოფილიყო შემთხვევა, რომ მასთან კოლმეურმე მისულიყო, რაიმე ეთხოვა და უარი მიეღო. ეს იყო ფულადი დახმარება, მანქანა–ტრაქტორების განათხოვრება თუ სხვა.

კოლმეურნეობის ყველა მძღოლი ვალდებული იყო, თუკი ავადმყოფობის გამო სოფელში ვინმეს პრობლემა ჰქონდა და ექიმთან გადასაყვანად მანქანა სჭირდებოდა, უყოყმანოდ გაჰყოლოდა.

განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები და მათ "ოქროს ფონდს " უწოდებდა. იმ დროს მე სოფლის პროფკავშირულ ორგანიზაციას ვხელმძღვანელობდი, მისი დავალებით ყოველ წელს უფასო საგზურებით ორმოცდაათამდე ბავშვი გადამყავდა ურეკისა და გომისმთის პიონერთა ბანაკებში"...

ცალკე საუბრის თემაა დავით გოგუაძის შემოქმედებითი ნიჭი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისი იუმორით აღტაცებული იყო თვით დიდი ნოდარ დუმბაძე. დავით გოგუაძის ფოლკლორული ყბისსაქცევები დღესაც მოწონებას იმსახურებს და ზეპირად იცის მრავალმა ოზურგეთელმა.

ეს ყველაფერი, ალბათ, მხოლოდ ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც უკეთებია თავის ქვეყანაზე, რაიონზე, სოფელზე, ხალხზე შეყვარებულ და მზრუნველ ღირსეულ კაცს, ყველა ადამიანური თვისებით შემკულ პიროვნებას, რომელსაც დავით გოგუაძე ერქვა და ჰქვია.

დიდია ამ დიდბუნებოვანი კაცის შთამომავლობა, რომელიც სადღეისოდ ასე გამოიყურება: 3 შვილი, 7 შვილიშვილი, 18 შვილთაშვილი და 2 შვილთაშვილის შვილი.

დღეიდან მეორე საუკუნის ათვლა დაიწყო მისი დაბადებიდან. დარწმუნებული ვართ, მომდევნო ასწლეულშიც არც ერთი შტრიხი არ მოაკლდება ბატონი დავითის ცხოვრებისეულ პორტრეტს, მით უფრო, რომ მისი შთამოვლობა დღეს 3 შვილს, 7 შვილიშვილს, 18 შვილთაშვილს და 2 შვილთაშვილის შვილს მოიცავს.

# დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს მხოლოდ „დაუვიწყარი შეხვედრები“ ქმნის

## *ყდაში ჩასმულსა და წიგნად ქცეულს მაინც სულ სხვა პეწი აქვს*




რამდენიმე დღის წინ ჩემმა კოლეგამ მანანა ქილიფთარმა თავისი წიგნი მისახსოვრა. „დაუვიწყარი შეხვედრები“ – ასე დაუსათაურებია წლების განმავლობაში კალამს დადინებული საკუთარ ფიქრთა ბროლის ნაკადულები.

ამ წერილების უმეტესობა თავის დროზე სახებავშეუშრობელ გაზეთებშიც წამიკითხავს, მაგრამ ყდაში ჩასმულსა და წიგნად ქცეულს მაინც სულ სხვა პეწი აქვს, რაშიც ავტორთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის წიგნის რედაქტორს, ბატონ ილია თავბერიძეს, ვისაც დიახაც რომ ხელეწიფება ასეთი საიუველირო საქმე.

ავტორის მაღალ პროფესიონალიზმზე მიანიშნებს ის, რომ მან ამ მომცრო წიგნში ჩაატია პორტრეტული ნარკვევები თეატრის, კინოს და ლიტერატურის ისეთი კორიფეებისა, როგორიცაა ვერიკო ანჯაფარიძე, მედეა ჯაფარიძე, ლია ელიავა, სვეტლანა ტომა, აკაკი ბაქრაძე, რამაზ ჩხიკვაძე, კოტე მახარაძე, მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე, ნინო ანანიაშვილი, ნოდარ ანდღულაძე და სხვები. როცა ამ წერილებს გაეცნობით, შეგექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ხსენებულ კორიფეებს მხოლოდ ახლა იცნობთ სრულყოფილად. ამავე წიგნში შეგიძლიათ იგრძნოთ ოზურგეთული სახეების სუნთქვა და მცხუნვარება, ნამიანი ვარდის ფურცლებივით გაშალოთ საამყო და ტკივილიანი ეპიზოდები ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიიდან.

ცალკე თემაა მანანას კალამი, რომელიც იმდენად სუფთაა, ისეთი ფაქიზია, „წერასატანილ“ ადამიანს შეგშურდება კიდეც. რომც წაართვა ან მოპარო, ვერ გამოიყენებ, ყველა მიხვდება, რომ ქილიფთარისეულია. მკვირცხლია მისი შემოქმედებითად დამუხტული გონება, სხარტი და ჰარმონიულია ყველა წინადადება, ზუსტი და მოხდენილია ეპითეტები. მანანას ცისარტყელასავით შვიდ ფერში სიტყვებით ხატვა და სიტყვებით ქარგვა შეუძლია. მის ხელში სიამოვნებით ირჯება და სულიერად ისვენებს ქართული ენა.

„მათთან ურთიერთობა ჩემი დიდი სურვილი და ბედისწერა იყო“, – წერს წიგნს დართულ ავტობიოგრაფიულ ნაწილში თავისი წერილების გმირთა შესახებ ავტორი. კარგია!!! დარწმუნებული ვარ, ეს ბედისწერა დიდხანს, დიდხანს გაგრძელდება, რამეთუ მანანას ჯერ წუთისოფლის შუადღე უდგას, ნაშუადღევის შორეულ ჰორიზონტზე კი მისი ახალი პერსონაჟები ავტორის მოლოდინში შლიან ბანაკს.

და ბოლოს, ჩემი აზრით, „დაუვიწყარი შეხვედრები“ ის წიგნია, რომელიც დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს უქმნის და შეუქმნის მკითხველს. რამდენადაც ვიცი, იგი მცირე ტირაჟით გამოიცა, ვისაც არ შეგხვდათ, შემიძლია გათხოვოთ, ოღონდ დაბრუნება არ დაგავიწყდეთ.

**თემურ მარშანიშვილი**

# „მუზეუმები საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის“

## *18 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა*

გურია შედის საკაცობრიო ცივილიზაციის კერათა რიცხვში. ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი უძველესია, სწორედ აქ ინახება ჩვენი მხარის წარსულის უძველესი ექსპონატები. მუზეუმი 1936 წელს დაარსდა და მას შემდეგ ფუნქციონირებს. აქ დაცულია 6947 ექსპონატი, რომელთა ქრონოლოგია მოიცავს პერიოდს ძვ.წელთაღრიცხვის მე–7 ათასწლეულიდან დღემდე.

ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში 11 მაისიდან დაიწყო მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული. 11,13, 14, 15 მაისს ჩატარდა ღია გაკვეთილები საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის მხარეთმცოდნეობის უკეთ შესწავლის მიზნით. კვირეულში მონაწილეობდნენ ოზურგეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები. პირველი საჯარო სკოლა, მეორე საჯარო სკოლა, გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლა, წმინდა ნინოს სამრევლო სკოლა.

გაკვეთილები ჩაატარეს მეცნიერ მუშაკებმა: ქეთევან ჭეიშვილმა – სტამბის დაარსება ოზურგეთში; გოგა გორდელაძემ – ექვთიმე თაყაიშვილი – ღვთისკაცი; მანანა მემარნიშვილმა – გურული ფირალები; დარეჯან გოგუაძემ – მარანი და მარნის



ატრიბუტები ასევე მოეწყო ექსკურსიები განახლებული ექსპოზიციის დასათვალიერებლად. კვირეულში ჩართულები იყვნენ სამხატვრო სკოლის მოსწავლეები.

18 მაისს, 15 საათზე კვირეული დასრულდა „ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი“ წიგნი–გზამკვლევის პრეზენტაციით.

ღონისძიება გახსნა მუზეუმის დირექტორმა გოგა ტრაპაიძემ. წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ჩვენი თაობის ერთ–ერთი გამორჩეული ისტორიკოსის, გურიის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარის, მუზეუმის ყოფილი დირექტორის ბატონ ენვერ გოგუაძის ხსოვნას.

ლალი კილაძემ ისაუბრა მუზეუმების საერთაშორისო დღეზე და მის წლევანდელ თემატიკაზე, მოხსენებით გამოვიდნენ და წიგნი–გზამკვლევის პრეზენტაცია გააკეთეს: გოგა ტრაპაიძემ, მანანა ლომაძემ, მარიკა ღლონტმა, დარეჯან გოგუაძემ.

ღონისძიების ბოლოს მუზეუმების დირექტორმა სიგელებით დააჯილდოვა სამხატვრო სკოლის მოსწავლეები, რომლების კვირეულის ფარგლებში მუშაობდნენ მუზეუმში და ხატავდნენ მათ მიერ შერჩეულ ექსპონატებს, რომელიც დაასრულეს ღონისძიების დღეს. ასევე მადლობის ბარათი გადაეცა გრიგოლ მახარაძეს, რომელმაც უსასყიდლოდ დაამზადა და გადასცა მუზეუმს ძველი ოზურგეთის ფოტოები. მადლობის ბარათი გადაეცა ასევე სამხატვრო სკოლას ღონისძიებაში მონაწილეობისთვის.

ღონისძიება გაფორმებული იყო ფოტო და ვიდეო მასალით, რომელზეც გოგა გორდელაძემ იმუშავა.

**ლალი კილაძე,**

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერი

# ინტელექტუალთა ფინალი მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში



14 მაისს ოზურგეთის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის კლუბმა „მეტიდამ“ ჩაატარა ფინალური შეხვედრა ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“ ერთმანეთს შეხვდნენ ბოხვაურისა და შემოქმედის საჯარო სკოლების უფროსკლასელთა გუნდები. ფინალი შემოქმედის საჯარო სკოლის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა.

თამაშში რუბრიკით „კითხვას სვამს სტუმარი“ მონაწილეობა მიიღო გაზეთ „ალიონის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა თემურ მარშანიშვილმა, რომელმაც პირადი საჩუქრით დააჯილდოვა ბოხვაურის საჯარო სკოლის მოსწავლე, როგორც აქტიური მონაწილე.

ორივე სკოლა დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით, რომლებიც ფინალისტებს გადასცეს მოწვეულმა სტუმრებმა – დრამატული თეატრის მენეჯერმა ზაზა ჯინჭარაძემ, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ხელმძღვანელმა გიგი მახარაძემ, სამხატვრო გალერეის თანამშრომელმა ლია ურუშაძემ.

სტუმრებს მიესალმა ხალხურ საკრავთა ანსამბლი „მარულა“.

ღონისძიებას წინ უძღოდა რესპუბლიკურ 69-ე სასწავლო შემოქმედებით კონფერენციაში გამარჯვებული მუნიციპალიტეტის მოსწავლეთა და პედაგოგთა დაჯილდოება.

**ქეთევან გუბელიძე,**

კლუბ „მეტიდას“ ხელმძღვანელი

# 100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

## ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“



**შარლ დე კულონი** (1736-1806). კულონს ეკუთვნის ხახუნის კანონის აღმოჩენა. ეს კანონი აღწერს ურთიერთქმედებას ორ ელექტრონულად დამუხტულ სხეულს შორის, რომლებსაც აქვთ უკუპროპორციული დამოკიდებულება. ასევე კულონმა გამოთქვა აზრი, რომ გრავიტაციას, მაგნეტიმს და ელექტრობას აქვს ურთიერთკავშირი. კულონს თვითონ დრო არ ჰქონდა, ევარაუდა, რომ ელექტრობა და მაგნეტიზმი ორი დამოუკიდებელი მოვლენა იყო. ელექტრომაგნეტიზმის ფენომენის საჯაროდ გამოთქმის უპირატესობა დარჩათ ჰანს კრისტიან ორსტეტს (1777-1851), ანდრე მარი ამპერეს (1775-1836) და განსაკუთრებით, მაიკლ ფარადეის (1791-1867).

მეცნიერის საპატივცემულოდ, ელექტრული მუხტის რაოდენობას, სადაც ერთი ნაწილი გადაადგილდება მაშინ, როდესაც ამპერის რაოდენობის დენი გადის ერთ წამს, მისი სახელი — კულონი დაერქვა.




**ჟოზეფ მონგოლფიერი** (1740-1810). 1782 წელს ძმებმა მონგოლფიერებმა დაიწყეს კვლევა იმის შესახებ, შეეძლო თუ არა ცხელი ჰაერით სავსე ბურთს ადამიანის სიმაღლეზე აწევა.

1783 წლის 4 ივნისს მოხდა ცხელი ჰაერის ბურთის პირველი საჯარო დემონსტრაცია. 1783 წლის 11 სექტემბერს მათმა ბურთმა მეფე ლუი XVI-თვის ცხვარი, იხვი და მამალი გადაიყვანა. 1783 წლის 21 ნოემბერს ადამიანი პირველად ისტორიაში გაფრინდა საჰაერო ბურთით.

საინტერესოა ის, რომ ქაღალდის წვის მაგალითმა ძმებს საჰაერო ბურთის შექმნისკენ უბიძგა.

ჟოზეფ მონგოლფიერმა და მისმა ძმამ ჟაკეტიემამ (1745-1799) აღმოაჩინეს უბრალო, ბუნებრივი ფენომენი და მოძებნეს მისი გამოყენების მეთოდი. შედეგი „მიუღწევლის“ მიღწევა აღმოჩნდა.

**შარლ ვილჰელმ შილი** (1742-1786). 1722 წელს შილმა აღმოაჩინა ჟანგბადი, ორი წლით ადრე, ვიდრე ჟოზეფ პრისტლიმ. თუმცა 1777 წლამდე არ გამოუქვეყნებია მისი მიღწევა. 1774 წელს აღმოაჩინა ქლორი. 1770 წლიდან მან იდენტიფიკაცია გაუკეთა მთელ რიგ სუბსტანციებს, როგორიცაა: მანგანუმის ორჟანგი, სილიკონის ტეტრაფლუორიდი, ბარიუმის ოქსიდი, სპილენძის არსენიტი, გლიცეროლი, წყალბადის ფლუორიდე, სულფიდე და ციანიდი. მან ასევე აღმოაჩინა ახალი მჟავების მთელი მწკრივი: ლიმონის, დარიშხანის, ჰიდროციანიდის, რძემჟავა, ღვინის, წყალბადციანმჟავის და ტუნგისტური (ტუნგი — ჩინური ტროპიკული ხე, რომლის თესლისგანაც იღებდნენ მაღალი ხარისხის ტექნიკურ ზეთს) ვარიანტები.

შილის აღმოჩენებს არ ჩაუვლია მსხვერპლის გარეშე. შესაძლებელია ლაბორატორიული კვლევების პროცესში ნივთიერებების ტოქსიკურობამ ხელი შეუწყო შილის ნაადრევ სიკვდილს — 43 წლის ასაკში. შილი არის სწორედ ის ადამიანი, რომელიც შეეწირა მეცნიერებას.



**ანტუან ლავუაზიე** (1743-1794). ლავუაზიეს აღმოჩენების მისეულმა ინტერპრეტაციებმა სახელი გაუთქვა მეცნიერს. ლავუაზიეს დასკვნებმა მოახდინა ქიმიის რესტრუქტურიზაცია ისეთ ფორმატში, რამაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ერას და იქონია ისეთივე გავლენა, როგორც ნიუტონისამ (1642-1727) ფიზიკაში. ალბათ ლოგიკური იქნებოდა, რომ მეცნიერს აღიარება და ჯილდოები მიელო თანამემამულეებისაგან, ამის სანაცვლოდ მას თავი მოაჭრეს.

მასვე ეკუთვნის წვის თეორია. კერძოდ: მაშინ, როდესაც ჭურჭლის მთლიანი წონა იგივე რჩებოდა ექსპერიმენტის დროს, ლავუაზიე მივიდა საინტერესო აღოჩენამდე, რომ მყარი სხეულების გაცხელებისას ფაქტობრივად წონაში მატულობდნენ. მეცნიერი მივიდა ლოგიკურ დასკვნამდე, რომ მყარი სხეულის წონის მატება გამოწვეული იყო გარკვეული კომბინაციით კონტეინერში არსებულ ჰაერთან.

ლავუაზიემ დაასკვნა, რომ ჟანგბადი აუცილებელია სუნთქვის პროცესისათვის, რაც იგივე როლს ასრულებდა ორგანიზმში როგორც ნახშირის წვისთვის და ყოველი ცოცხალი ორგანიზმისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტს წარმოადგენდა. 1790 წელს ლავუაზიემ გამოკვეთა კომბინაცია, რომელიც ადასტურებდა, რომ წყალი შედგება წყალბადისა და ჟანგბადისაგან.

ლავუაზიე დღეისათვის თანამედროვე ქიმიის მამად ითვლება. მისი სახელი გამოიყენება თანამედროვე ქიური დასახელებების სისტემაში.

მოამზადა **გურამ ცერცვაძემ**

(გაგრძელება იქნება)

# სკანვორდი




## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ანჯელინა ჯოლი; ფეხის გადადგმა — ნაბიჯი; სამშაბათი ძველქართულად — არიასი; პრიზი — თასი; მსახიობი ვახტანგ ... — ნინუა; პატარა თევზი — გამბუზია; ქალის სახელი -ესმა; გამძლე ქსოვილი — ჯინსი; ერთგვარი ქუდი — პანამა; ყბების სპაზმი — ტრიზმი; საპორტო ქალაქი იტალიაში — გენუა; ტაფა — საჯი; ბელგიური ნაგაზი — მალინუა; „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი — რუსთაველი; ქართული საცხენოსნო სპორტი — ისინდი; ყვავილების შეკვრა — თაიგული; რძის ნაწარმი — დო; ცხარე საწებელი — აჯიკა; დროის საზომი — საათი; მდინარე შორეულ აღმოსავლეთში — ამური; მამა შემოკლებით — მა; ქვეყანა ევროპაში — უელსი; მსახიობი დემი ... — მური; მტაცებელი ფრინველი — ქორი; სანქცია — ჯარიმა; განთიადი — აისი; ჯანჯუხა — ჩურჩხელა; სოფელი სამტრედიაში — ბაში; თიხის ჭურჭელი — ჩარექა; მობილური ტელეფონის ფირმა — ნოკია; კერძის ნორმა — ულუფა; „ნატვრის ხის“ პერსონაჟი — გედია; ბურუსი — ნისლი; ქალაქი თურქმენეთში — ბედთაში; ქალის სახელი — კეკე; პროვინცია პაკისტანში — ბელუჯისტანი; პიჯაკი — ფრაკი; პატარა საწნახელი — ორე; ჩამონათვალი — სია; ჭაობის მცენარე — ისლი.

ოზურგეთელი ჯარისკაცები

# ოზურგეთის ევაკოჰოსპიტალი

სამამულო ომის წლებში, კერძოდ 1942–1943 წლებში ოზურგეთში ფუნქციონირებდა ევაკოჰოსპიტალი 1455. იგი განთავსებული იყო დღევანდელ №1 საჯარო სკოლაში (მაშინდელი ვაჟთა სკოლა), ასევე აქვე არსებულ პედსასწავლებლისა და ჩაის ტექნიკუმის შენობებში. დაჭრილები მოჰყავდათ უახლოესი ფრონტებიდან. მთავარი ექიმი იყო მიშა ქავთარაძე, მთავარი ქირურგი - გერმანე ჯიბუტი, ექიმები: ნესტორ თოიძე, მიტუშა თოდრაძე, ტიტე ღლონტი, ქეთევან მგელაძე, ლილი ვასაძე, თამარ სიმულიდი. მედდები: ნინა აბაშიძე (უფროსი მედდა), ლიდა ქავთარაძე, ზინა მგელაძე, ეკატერინე ლობჟანიძე. სანიტრები: გიგა ბილიხოძე და სხვები. მოხალისე სანიტრებად ძირითადად ადგილობრივი ბიჭები იყვნენ.

ევაკოჰოსპიტალის შესახებ ცნობები მოგვაწოდა აწ განსვენებულმა ჟუჟუნა ბაბილოძემ. მისი მოგონებიდან: „ფრონტზე წასვლა ძალიან მინდოდა, რადგან ჩემი სამი ძმა იბრძოდა, მშობლები და და გარდაცვლილი მყავდა. მე თოთხმეტი წლისა გამოვცხადდი კომისარიატში. კომისარმა დიომიდე სალუქვაძემ მითხრა — შენ ჯერ ძალიან პატარა ხარ, მე ჯიუტად ვითხოვდი ფრონტზე წასვლას, მაშინ კომისარმა დაურეკა ექიმ გერმანე ჯიბუტს, რომ ჰოსპიტალში მივედე. ამავდროულად მე ვსწავლობდი საფერშლო სასწავლებელში. მახსოვს, ჩემი ჰოსპიტალში მუშაობის პერიოდში თოთხმეტი დაჭრილი გერმანელი მოიყვანეს, ერთი უმკურნალეს და მერე სად წაიყვანეს, არ ვიცი. სამი წელი ვიმუშავე ჰოსპიტალში".

№ 1 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებლის ნათელა სურგულაძის ცნობით: „ჩვენი სკოლის წითელკვალმაძიებლებმა დაადგინეს იმ თორმეტი უსახელო მეომრის ვინაობა, რომლებიც ჰოსპიტალში გარდაიცვალნენ: ხოხლოვი ვასილ მიხეილის ძე, ასლამაზოვი სერგო ნიკოლოზის ძე, ქრისტესაშვილი დავით, ულიბეკოვი ნუზაური, ალიევი ჯაფი, ჩიკი ეშბა, ტიხონოვი ივანე, პანკოვი პავლე, ვასილევი ვასილ, ვართანიანი პეტროს, მალახოვი ილია. კვალმაძიებლებმა მოახერხეს მასალების შეკრება ილია მალახოვის, პეტროს ვართანიანის და ჩიკი ეშბას შესახებ, რომლებიც განისვენებენ მოიდანახეს სასაფლაოზე"

ევაკოჰოსპიტალში მორიგეობდნენ მაშინდელი ვაჟთა სკოლის და შემდეგ №1 სკოლის პედაგოგები ქეთევან ჩუბინიძე და ეთერი შოშიტაიშვილი, უვლიდნენ დაჭრილებს, უმზადებდნენ სადილებს, უკერავდნენ ტანსაცმელს და უქსოვდნენ წინდებს. პირველი სკოლის ეზოში ყოფილა ჭა, სადაც ათავსებდნენ დაჭრილების ამპუტირებულ ნაწილებს.

დაჭრილები ხშირად უგზავნიდნენ სამადლობელ სამკუთხა ბარათებს მთავარ ქირურგს გერმანე ჯიბუტს. რამდენიმე ასეთი ბარათი ოჯახმა ჩააბარა აწ განსვენებულ ბატონ გივი ხოხლენკოს. სამწუხაროდ, აღნიშნული ბარათები ამჟამად დაკარგულია.

არსებობს საინტერესო ცნობა, რომ ჰოსპიტალში მოიყვანეს ერთ-ერთი დაჭრილი სამხედრო პირი მიხეილ იანოვსკი, რომელიც განიკურნა და ცოლად შეირთო იქვე მომუშავე ექთანი რუსუდან თოხაძე. თავად იანოვსკი სამუშაოდ დარჩა ჰოსპიტალში, ხოლო ჰოსპიტალის გადატანის შემდეგ მიხეილი და რუსუდანი თან გაჰყვნენ ამ ჰოსპიტალს, როგორც თანამშრომლები.

**მანანა ლომაძე,**
ისტორიული მუზეუმის
ფონდების მთავარი მცველი

გურული ფირალების ცხოვრებიდან

# მძლავრობა ავაზაკებისა და კომიტეტისა

**ენვერ გოგუაძე**

(დასაწყისი ალიონი №13-20)

კომიტეტისაგან „კუბოთი" შემკულ წერილებს იღებდა ყველა, ერი თუ ბერი, ახალგაზრდა თუ ასაკოვანი, ჯეელი თუ ხანდაზმული, ვისაც კი გააჩნდა გადახდის თუნდაც ოდნავი უნარი და შესაძლებლობა და არ იზიარებდა ახალი თაობის გზას, სტრატეგიასა და ტაქტიკას.

„კუბოიანი წერილები" მკაფიო გამოხატულება იყო სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პლატფორმისა, რასაც მესამე დასის იდეებზე ნაბარტყი ქართველი ერის „უახლესი შვილები" ასახიერებდნენ. ყოველი მოთხოვნის უკან მათი კომიტეტი იდგა შეზელილ-გამოძებნილი სამსხვერპლო ზვარაკთა სისხლისა და ხორცისაგან. თავისი მანქუნთებით, ასასინებით, მელიდებითა და ყიდაიებით, ბომბისტებითა და მაუზერისტებით.

„ახალი თაობის მუშაობა, — გვაუწყებს ვეტერანი ბოლშევიკი ტარასი გიორგის ძე დარჩია, — ეწინააღმდეგებოდა ნიკოლოზას მთავრობას, მემამულეებსა და მღვდლებს. ახალი თაობის კაცები მოითხოვდნენ მღვდლებისაგან დრამა ფულის გადასახადის მოსპობას... ერთხელ ამ სოფლის წარმომადგენელი სიმონ კილაძე მოვიდა ჩემთან და მითხრა: შენ ნამუსიანი ბავშვი ხარ, მოწაფე, დამიწერე წერილი. მან მიკარნახა, რა უნდა დამეწერა მღვდლებზედ გასაგზავნი. ამ წერილებზედ კუბოც დამახატვია. რამდენიმე ცალი იყო. მღვდელი თუ დრამა ფულს ძალით გადაახდევინებდა ხალხს, სიმონ კილაძე მას სიკვდილს ჰპირდებოდა".

ტერორისტებისა და კომიტეტის შიშით ადმინისტრაცია ძალზე ხშირად საკუთარი ნებისა და სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდა და სიკვდილისაგან თავის დაღწევის მიზნით ყოველ ღონეს ხმარობდა, ძალასა და ენერგიას არ იშურებდა, რათა ხელისუფლების აღიარებული მოწინააღმდეგე, „დამცემი" ქურდი, ავაზაკი. ტერორისტი თუ მესისხლე მაუზერისტი ტვირთმძიმეთა" და „მაშვრალთა" მხსნელის როლში გამოეყვანა, ხოლო აშკარად უდანაშაულო აშკარა დამნაშავედ ეცნო.

1903 წლის 12 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესიამ გაარჩია საქმე ოზურგეთის მაზრის სოფელ იანეთში მცხოვრებ მემამულე ბორის პოდკოლზინისა, რომლის გაძარცვა ბრალდებოდა ჩოხატაურის საზოგადოების მცხოვრებს სტეფანე გურგენაძეს.

1902 წლის 10 აგვისტოს გურგენაძე ოცამდე შეიარაღებული ამხანაგით დილის 6 საათზე თავს დასხმია ბორის პოდკოლზინს, რომელიც დილაადრიანად ეზოში დადიოდა, ყაჩაღები შემოსევიან მას და მოუთხოვიათ ფული, ისიც მისძღოლია მათ საწოლ ოთახში და რომ ცოლი არ დაეფრთხო, დაუძახა: „აგერ საწყალი ხალხია და ფული უნდათო".

პოდკოლზინმა გამოუტანა მათ 700 მანეთი. მარა ამას როდი დასჯერდნენ და კასა მოსთხოვეს (დასათვალიერებლად). მანაც ხელმეორედ აალო ზანდუკის თავი, ამოიღო 4 ბანკის ბილეთი 1000 მანეთი და ერთიც 500 მანეთი. ყაჩაღებმა ამოაღებინეს კიდევ ბლომად ფული (ზანდუკიდან) გულუხვ მასპინძელს.

„ჩვენ ფული ძლიერ გვჭირდება, რადგან ჩინოვნიკებისაგან ძლიერ შევიწროებული ვართ. 120 ჩვენი ამხანაგი ციხეში ზის, იმათი ცოლ-შვილი შიმშილით იხოცება, ამიტომ, ნურას უკაცრავად, რომ შენს ქონებას დავეპატრონებითო."

გურგენაძეს ბრალი ედებოდა სასჯელის დებულების 13,1629 და 1632 მუხლის ძალით. მას იცავდა ნაფიცი ვექილი ანტონ გელიაზაროვი. რადგან მოწმეებს ყაჩაღებს შორის ერთი გურგენაძის მეტი ვერავინ ეცნოთ, და ამაზედაც სასამართლოში (მოსალოდნელი სიკვდილის შიშით) უარი განაცხადეს და ამით დაარღვიეს პირვანდელი ჩვენება გამომძიებელთან, სასამართლომ გამომძიებელი სრულიად გაამართლა.

ტერორით გამოწვეულმა შიშმა მოდრიკა არა მარტო ოზურგეთის მაზრისა და ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაცია, არა მარტო მრისხანე ბოქაულები და „შემპარავი" ჯაშუშები, არამედ ისეთი მაღალი რანგის აღიარებული „პოგრომშიკები", როგორიც იყო გურიის „ამოსაგდებად" და „მოსაოხრებლად მოვლინებული პოლკოვნიკი კრილოვი".

ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავით კლდიაშვილი წერს: „კრილოვი თავისი ხერსონის პოლიციით გამოგზავნილი იყო კიევიდან გურიის დასაწყნარებლად. გურიას ვერა რას უხერხებდა ადგილობრივი ადმინისტრაცია და მიუსიეს კრილოვი. თავისი პოლკით, კრილოვი დიდი ხნით ჩამოვიდა გემით



ბათუმში. აქ იგი განსხვავებულიად იქნა მიღებული, როგორც მხსნელი პირი.

კრილოვი ცეცხლითა და მახვილით შევიდა გურიაში, ეს ტანმორჩილი თხელი, შავგრემანი კაცი, საოცარი სისასტიკის მატარებელი იყო თავის არსებაში. არავითარი შებრალება, არავითარი დაზოგვა, მან არ იცოდა, მისი შეხედულებით აქ მტერი იყო და მტრულად უნდა მოქცეოდა. მრუდი, მართალი, უდანაშაულო - ყველა ერთია, ყველა ერთი აზრისანი არიან. გარჩევა საჭირო არაა. იქ ღმერთი გაარჩევს ბრალიანს და უბრალოს.

კრილოვი კი წვავდა, ცეცხლს აძლევდა, სიკვდილს აყენებდა მარჯვნივ და მარცხნივ. საკმარისი იყო ჯაშუშის უბრალო ცნობა, რომ დასმენილის სახლ-კარს წაესმებოდა ფისი, ზედ დაესხმებოდა ნავთი და ავარდნილ ალში, მწარე ცრემლებით ხმამაღლა მოტირალ პატრონთა ბღავილში, იფერფლებოდა შენობა, იწვოდა, ილუპებოდა საქონელი, ნიავდებოდა მთელი ქონება.

წარმოუდგენელი სასტიკობა" განუშორებელი თვისებაა რუსის თვითმპყრობელური ხელისუფლების მაღიარებლისა.

(გაგრძელება იქნება)

# ნათელა არველაძე



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ნიჭიერი ისტორიკოსი, მოსწავლეებისა და ახალბედა მასწავლებლების დამრიგებელი, ყველასათვის საყვარელი ნათელა მასწავლებელი.

ნათელა არველაძე წლების მანძილზე მოღვაწეობდა ცხემლისხიდის საჯარო სკოლაში. იყო ისტორიის მასწავლებელი და სასწავლო ნაწილის გამგე. მთელი ამ ხნის განმავლობაში სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ემსახურებოდა ახალგაზრდების აღზრდის საქმეს.

შემოქმედებითად აქტიური, ერუდირებული და რიტორი ქალბატონი პატივისცემით სარგებლობდა არა მარტო სკოლაში, არამედ მთელ სოფელში, ამიტომაც მთელი სოფელი გულისტკივილით ეთხოვება საყვარელ მასწავლებელს.

აქედან გულდამძიმებულს იქ ალბათ როგორ მიგეჩქარებათ, რადგან სამოთხის კართან ლადო გელოდებათ.

ნათელი დაადგეს თქვენს სულებს.

**ცხემლისხიდის საჯარო სკოლის კოლექტივი, სამთაკ რაიონული ორგანიზაცია**

ხსოვნა

# ტკივილით სავსე მოგონება

მაია მურვანიძის გარდაცვალებიდან ერთი წელი გავდა. სევდიანი მოგონებებით, მონატრებით, ცრემლებით გავიდა ეს ერთი გაუსაძლისი წელიწადი.

დრომ ვერ უშველა ჩვენთვის უსაყვარლესი და ძვირფასი მეგობრის გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილს, რომელსაც მასთან განშორების გამო განვიცდით.

ჩვენთვის, მისი კოლეგებისა და მეგობრებისათვის მძიმე დანაკლისია მაია მურვანიძის უდროოდ წასვლა საწუთროდან. განსაკუთრებით მძიმეა ოჯახისათვის, ახლობლებისთვის.

მაია ყველას დააკლდა!

მთელ საზოგადოებას დააკლდა ახალგაზრდა ექიმი და განსაკუთრებული თვისებების მქონე კარგი ადამიანი, სიკეთე და სიყვარულით სავსე გულით რომ იყო ყველასაგან გამორჩეული.

იმდენად ძვირფასი იყო



ჩვენთვის გვიჭირს მასზე წარსულ დროში საუბარი. ვერ ვიხსენებთ უცრემლოდ!

მაია მურვანიძის სახელი მარადიულ ხსოვნაში დაივანებს და მუდამ იცოცხლებს მისგან დატოვებულ ლამაზ, მაგრამ ჩვენთვის ტკივილად ქცეულ მოგონებაში.

**ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი**

ნინო კუკულაძე თანაუგრძნობს ომარ სალუქვაძის ოჯახს დისშვილის, **მალონა ქათამაძის** გარდაცვალების გამო.

# ვისი ფართობიც შელობილია, იმას თავი ქუდში აქვს, ვისიც არა - იმას ყულფში

სოფელ გურიანთაში ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების სავარგულებს კი ხნავენ, მაგრამ ფართობები ნახევრად შეუღობავია.

ამის შესახებ „ალიონს" თვით გურიანთელებმა აცნობეს.

გურიანთაში ხვნა-თესვის სამუშაოებს შპს „მექანიზატორი" შეუფერხებლად ახორციელებს, მაგრამ ფართობები რომ შეუღობავია, ამაზე არავინ ზრუნავს.

ვისი ფართობიც შელობილია, იმას თავი ქუდში აქვს, ვისიც არა - იმას ყულფში. სიმინდი თუ არ ექნა, რა უნდა კაცს სოფელში? ჩემი ფართობიც მოხნეს უკვე, მაგრამ თუ არ შეიღობა, იძულებული ვიქნები, აღარ დავთესო. რა აზრი აქვს? ზარალი ისედაც არ მაკლია", — თქვა ჩვენთან საუბარში ერთ-ერთმა გურიანთელმა.

**ნათია ღლონტი,**
პრაქტიკანტი

# გურიანთაში ჯვარი აღმართეს, ეკლესიის მშენებლობა კი ჯერაც არ დაწყებულა

სოფელ გურიანთაში მართლმადიდებლური ჯვარი 2014 წლის შემოდგომაზე აღმართეს, ეკლესიის მშენებლობა კი ჯერაც არ დაწყებულა.

როგორც გურიანთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბონდო ღლონტმა განგვიმარტა, ჯვარი სოფელ გურიანთაში აქაური ახალგაზრდების ინიციატივითა და მამა ერმოლაოსის თაოსნობით აღიმართა, ხოლო მიწის ნაკვეთი, სადაც ეკლესია უნდა აიგოს, აუქციონზეა გატანილი და ეძებენ ფულად რესურსებს მის შესაძენად. სოფელში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის კოტე ჩიკაშუას თქმით კი, შესყიდვის შემდეგ ხსენებული მიწის ნაკვეთი ეპარქიას გადაეცემა და მშენებლობასაც შეუდგებიან.

**ანი ქავჟარაძე,**
პრაქტიკანტი

# „მერცხალი“ მე-5 ადგილზეა



ალიონი. განსაკუთრებით დაძაბული აღმოჩნდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფინიში ფეხბურთში პირველი ლიგის გუნდებს შორის. „ბ“ ჯგუფში ვადამდე ადრე გაინაღდა უმაღლესი ლიგის საგზური თერჯოლის „საპოვნელამ“, რომელმაც 77 ქულა დააგროვა და 23 ქულით გაასწრო მე-2 ადგილზე გასულ „ბორჯომს.“ ბოლო ტურებში შინ თუ გარეთ ძირითადად აუტსაიდერები იგებდნენ, იმდენი ქულა დააგროვეს საპრიზო სამეულსაც კი მიუახლოვდნენ.

ოზურგეთის „მერცხალი“ ბოლო ტურში ქედაში ადგილობრივ „ბეთლემს“ ხვდებოდა. „მერცხალმა“ შეძლო ამ მატჩში გამარჯვების გოლის გატანა და 3 ქულა მოიპოვა, რითაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა საბოლოოდ სატურნირო მდგომარეობა და 48 ქულით მე-5 ადგილზეა. (მე-3 ადგილზე 50 ქულით „გაგრაა,“ რომელმაც საშინაო მატჩში ხობის კოლხეთს“ სძლია 2:1, ხოლო „ბეთლემს“ 49 ქულა აქვს და საბოლოოდ მე-4 საფეხურზეა).

მიუხედავად იმისა, რომ წალენჯიხის „სქურმა“ „ალგეთს“ მოუგო (1:0) „ალგეთი“ გათამაშების ცხრილში 47 ქულით მე-6 საფეხურზეა. ხოლო „სქური“ ბოლოსწინა ადგილზეა და სავარაუდოდ პირველ ლიგას დატოვებს. მე-7 საფეხურზე ტყიბულის „მეშახტეა“, (47 ქულა), რომელმაც გასვლით მატჩში „ბორჯომს“ 3:0 მოუგო.

ამ ჯგუფში ერთადერთი გამოტოვებული მატჩი დარჩა გასამართი. ხობის „კოლხეთსა“ და „გაგრას“ შორის. თუ ამ მატჩში „კოლხეთი“ გაიმარჯვებს, მე-8 ადგილიდან შეიძლება „მერცხალსაც“ კი გაუსწროს და მე-5 საფეხური დაიკავოს. ვნახოთ, დაველოდოთ ამ მატჩის შედეგსაც.

„მერცხალმა“ 36 მატჩიდან 13 მოიგო, 9 ფრედ დაამთავრა, 14 წააგო (ბ.შ.45-66), და 48 ქულა დააგროვა.

# სასპორტო სკოლის ღია პირველობა ტაეკვონდოში

20 მაისს ქ. ოზურგეთის სპორტდარბაზში ჩატარდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის ღია პირველობა ტაეკვონდოში ჭაბუკთა და გოგონათა შორის. მონაწილეობდა სასპორტო სკოლისა და ურეკის გუნდები. მონაწილეთა რაოდენობა 45-მდე.

ჭაბუკებში ჩემპიონები გახდნენ: 20 კგ წონით კატეგორიაში — გიორგი ჩაქსელიანი; 25 კგ წონით კატეგორიაში — გურამ დავითაძე; 30 კგ წონით კატეგორიაში — საბა გოგაძე; 35 კგ წონით კატეგორიაში — ბექა ბერიძე; 40 კგ წონით კატეგორიაში — ლუკა გუჯაბიძე; 60 კგ წონით კატეგორიაში — ასლან მახარაძე; 65 კგ წონით კატეგორიაში — ზაურ თუთაშვილი და 75 კგ წონით კატეგორიაში — ანრი რომანაძე.

გოგონებს შორის ჩემპიონები გახდნენ: 35 კგ წონით კატეგორიაში — ნინი მურვანიძე და 45 კგ წონით კატეგორიაში — მარი ინწკირველი.

ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით, რომელიც დააწესა სასპორტო სკოლამ.

დაკომპლექსტდა სკოლის ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პირველობასა და სხვადასხვა ტურნირზე.

# მსოფლიო მძლეოსნობის დღეს მიეძღვნა



16-17 მაისს, ქ. თბილისში, მძლეოსნობის სპორტის სასახლეში მსოფლიო მძლეოსნობის დღისადმი მიძღვნილი საქართველოს პირად-გუნდური პირველობა გაიმართა მძლეოსნობაში 2000-2001 წლებში დაბადებულთა შორის.

ამ ტურნირზე კარგად იასპარეზა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც საბოლოო შედეგით—75 ქულა მე-3 ადგილი დაიკავა. რეგიონებიდან მათ მხოლოდ ზუგდიდის ნაკრებმა გაუსწრო 5 ქულით, ხოლო ტურნირის გამარჯვებული 95 ქულით ქ. თბილისის ნაკრები გახდა.

ამ შეჯიბრის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მთელ მსოფლიოში ერთი და იგივე პრინციპით ჩატარდა. მონაწილეს უფლება ჰქონდა, სამჭიდში ესპარეზა ( რბენა, ხტომა, ტექნიკური სახეობა), ხოლო გუნდებს ჩათვლას მხოლოდ პირველ და მეორე ადგილებზე გასული სპორტსმენები აძლევდნენ.

2000-2001 წლებსი დაბადებულთა შორის ოზურგეთიდან თავი 4X50 ამანთრბენში ისახელეს( ნინო ქავჟარაძე, მარი კანთელაძე, ნატო აროშიძე, ელენე გოგიჩოვა); ასევე მე-2 ადგილი მოიპოვეს ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში ბადრი გოგიტიძემ და გიორგი თავართქილაძემ; სიგრძეზე ხტომაში მე-3 იყო ნატო აროშიძე.

1998-99 წლებში დაბადებული სპორტსმენები კონკურსგარეშე ასპარეზობდნენ. ელენე ტოლსტოვა სიგრძეზე 5მ. 07 სმ. გადახტა და მე-2 საპრიზო ადგილს დაეუფლა; მე-3 საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: დავით გოი (12.02 —200 მ. 23,03); ნანი პაკელიანს (მან 1-კგ-იანი ბადრო მან 39,3 მ-ზე ტყორცნა.

საუკეთესო გოგა ჭიხვარიამ (იგი კონკურსგარეშე ასპარეზობდა) 7-კგ-იანი ურო 59,94 სტყორცნა. ამ დღეს საქართველოს რამდენიმე ახალი რეკორდი დამყარდა.

22-23 ივნისს დიღმის ახალ სტადიონზე ცატარდება ეროვნული ჩემპიონატი მძლეოსნობაში 1999-2000 წ.წ.-ში დაბადებულ სპორტსმენთა შორის, სადაცწარმატებულ სპორტსმენებზე ოლ-

# დიდი მეიარაღენი

(დასაწყისი იხილეთ „ალიონი“ №18,19)



ჰუგო მაქს რიხორდ შმაისერი

ცნობილი გერმანელი იარაღის კონსტრუქტორი,უამრავი პატენტისა და გამოგონების ავტორი, მსოფლიოში პირველი პისტოლეტ ტყვიამფრქვევის მასიური მოდელი შემქნელი ჰუგო მაქს რიხორდ შმაისერი გერმანიის ქალაქ იენაში 1884 წლის 24 სექტემბერს დაიბადა.

მისი მამა ლუის ტრაუგოტ შმაისერიც ცნობილი მეიარაღე იყო.1894 წელს შმაისერების ოჯახი ქალაქ ზულში გადადის საცხოვრებლად.ჰუგო შმაისერი მამის ხელმძღვანელობით, მუშაობას იწყებს თეოდორ ბერგმანის საიარაღო ფაბრიკაში. 1905 წლიდან 21 წლის ჰუგო ფაბრიკის ტექნიკური ხელმძღვანელი ხდება. 1915 წელს შმაისერმა გამოცდელ კომისიას ხელის ტყვიამფრქვევი წარუდგინა- — 15 ტყვიამფრქვევი მიღებულ იქნა შეიარაღებაში და იწარმოებოდა მნიშვნელოვანი რაოდენობებით. 1916-18 წლებში შექმნა პისტოლეტ ტყვიამფრქვევი 18.1921 წელს შმაისერი დაინიშნა ცნობილი საიარაღო ფირმა „ჰაენელის“ ტექნიკურ დირექტორად. 1927 წელს მან შექმნა თავისი პირველი პნევმატური პისტოლეტი. 1928 წელს პისტოლეტ ტყვიამფრქვევის გაუმჯობესებული ვარიანტი 28 შექმნა.

1933 წელს შმაისერი ნაცისტური პარტიის წევრი ხდება. 1938 წელს დაიწყო მუშაობა ავტომატური იარაღის პროექტზე დამოკლებული 7,92 მმ-იანი ვაზნით, რომლისთვისაც 1941 წელს მოდერნიზებული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი 41 შეიქმნა. 1943 წელს წარმოებაში ჩაეშვა სერიული 43, რომელსაც შემდეგ სახელი გადაარქვეს და 44-ად მონათლეს.

1944 წელს ჰიტლერის ბრძანებით 44 შეიარაღებაში მიიღეს.

1945 წლის 3 აპრილს ქ.ზულში ამერიკის ჯარები შევიდნენ.დაიწყო შმაისერის გაუთავებელი დაკითხვები ამერიკისა და ბრიტანეთის სპეცსამსახურების მიერ.

1945 წლის აგვისტოში საბჭოთა არმიის შეკვეთით 100 ავტომატი Sturmgewehr-44 დამზადდა ტექნიკური გამოცდისათვის, ამავდროულად „ჰაენელიდან“ გატანილ იქნა ტექდოკუმენტაციის 10785 ფურცელი; აქედან იწყება საბჭოთა სპეც სამსახურების დაინტერესება ჰუგო შმაისერის პიროვნებით—1946 წლის ოქტომბერში დაიწყო გერმანელი ინჟინერ ტექნიკური კადრების ტრანსფერი საბჭოთა კავშირში— გამთენიისას მათ სახლებთან მიდიოდნენ სატვირთო მანქანები ჯარისკაცებით, ოფიცერი თარჯიმანით—ვადა ერთი საათი, დახურული ვაგონები და ჰერიი რუსეთისაკენ.

შმაისერი რუსეთში 1946 წლის 24 ოქტომბერს ჩავიდა და მაშინვე იჟევსკში გაამწესეს, სადაც იმ დროისათვის შესანიშნავი საცხოვრებელი პირობები შეუქმნეს და ხელფასიც მშვენიერი, 5000 მანეთი დაუნიშნეს. იჟევსკის გერმანული კონტიგენტის მუშაობა მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, ერთი კი ცნობილია, რამდენიმე უძლიერესი კონსტრუქტორი გამუდმებით ხაზავდა სხვადასხვა იარაღის ნახაზებს, დაწყებული ამ იარაღის საწარმოებელი საამქროების გეგმებიდან დამთავრებული თავად იარაღის ნახაზებით, უმცირეს წვრილმანებამდე, ნახაზები იკეცებოდა და გაურკვეველი მიმართულებით მიჰქონდათ.

ამ პერიოდშივე იჟევსკში, ცნობილი რუსი კონსტრუქტორმეიარაღეები კალაშნიკოვი, მარგოლინი, დეგტიარევი, სიმონოვი, ბერეზინი, შპიტალნი და სხვები მოღვაწეობდნენ.

გავიდა რამოდენიმე წელი და ინტერესი შმაისერის მიმართ შენელდა. ჯერ ხელფასი მოუკლეს, შემდეგ გაუნახევრეს. ამის გამო შმაისერმა დაწერა თხოვნა სადაც გერმანიაში დაბრუნებას ითხოვდა, ამას იმით ასაბუთებდა რომ უკვე მოხუცი იყო, გერმანიაში მოხუცი მეუღლე და ავადმყოფი ვაჟი ელოდებოდნენ, რომელთაც მისი დახმარება სჭირდებოდათ... 1952 წლის 9 ივნისს შმაისერი ზულში დააბრუნეს.

1953 წლის 12 სექტემბერს შმაისერი ფილტვების დაავადებით ქალაქ ერფურტის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

წარმოგიდგენთ იჟევსკის ქარხნის ხელმძღვანელობის ერთ შეფასებას, რომელიც 1949 წლის 2 სექტემბრითაა დათარიღებული:

„შმაისერი ჰუგო მაქს რიხორდი—ტექნიკური განათლება არ გააჩნია, პროექტებზე თავის მუშაობაში თავი გამოავლინა როგორც კონსტრუქტორპრაქტიკოსმა, კონსტრუქტორული დავალებების შესრულებისგან თავს იკავებს, ცოდნის არქონას იმიზეზებს. არავითარი სარგებლობა საბჭოთა კავშირში ყოფნის პერიოდში არ მოუტანია, აქვს კაპიტალისტური ფსიქოლოგია, გამხრწნელად მოქმედებს დანარჩენ გერმანელ სპეციალისტებზე, ქარხნის საიდუმლოებებს არ იცნობს, მაგრამ იმისი რწმენა, რომ არ იცნობს ქარხანაში წარმოებულ პროდუქციას, არ გვაქვს“

ხელს აწერს ვინმე მუხამედოვი.

აქვე გთავაზობთ 44 და 47 არასრული დაშლის შედარებით სურათს.



ცალსახაა, რომ საბჭოთა კავშირი დავალებული იყო შმაისერისაგან. უდიდესი მეიარაღე, უდიდესი საიარაღო კონცერნის ტექნიკური დირექტორი, მთელი ვერმახტის შემაიარაღებელი კაცი, ნაცისტური პარტიის წევრი, ამბობს რომ მას ცოდნა არა აქვს და სუკს სჯერა—ურჩევს რომ გერმანიაში გაუშვან მოხუც ცოლთან და ავადმყოფ შვილთან; ამას ახლა ვინმე დაიჯერებს? არა!!!

შმაისერი საბჭოეთის სასარგებლოდ ვერ გამოიყენეს და არ დახვრიტეს?!

არადა კალაშნიკოვი რა მაგრად ჰგავს გავს 44-ს; მარგოლინის პისტოლეტი რა მაგრად გავს შმაისერისას?!

მოამზადა
**გელა ჩავლეიშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 25 მაისი ორშაბათი | 26 მაისი სამშაბათი | 27 მაისი ოთხშაბათი | 28 მაისი ხუთშაბათი | 29 მაისი პარასკევი | 30 მაისი შაბათი | 31 მაისი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, +19+27 | მზე, ღრუბელი +17+26 | მზე, +18+24 | მზე, +17+27 | წვიმა +14+18 | მზე, ღრუბელი +15+22 | წვიმა +15+21 |